GEO LATEX LTD
ს/კ 200232257
Tavdadebuli str 30, Didi Digomi, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2596766

შპს გეო ლატექსი
www.geolatex.ge; www.ergonom.ge
საქართველო, თბილისი, დ. თავდადებულის 30
ტელ: +995 32 2596766

ქ.თბილისი 15.09.2025

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, შპს „გეო ლატექსი“, (ს/კ 200232257) როგორც უძრავი ქონების მესაკუთრე და მეიჯარე, (უძრავი ქონება მდებარე: თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 17. საკ. კოდით: 01.11.12.016.110) წარმოდგენელი, მისი დირექტორის მურთაზ მიხელაშვილის პ/ნ 01020003024 სახით, თანახმა ვარ მოიჯარე სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“-მა (ს.ნ 205274273) მისი კორპორატიული ინტერესებიდან გამომდინარე საკუთარი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს საიჯარო ფართის ფასადზე განსახორციელებელი სამუშაოების ჩატარება. კერძოდ, მოახდინოს საკუთარი შეხედულებისამებრ არსებული ფასადის რეკონსტრუქცია/ცვლილება, მოახდინოს აბრების, რეკლამებისა და სავალუტო ტაბლოს განთავსება წინამდებარე თანხმობაზე თანდართული პროექტის შესაბამისად.

პატივისცემით,

მურთაზ მიხელაშვილი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 2396033

გაცემის თარიღი: 21/01/2016 გაცნობის თარიღი: 21/01/2016

განცხადების ნომერი: AR1370824
შემოსვლის თარიღი: 15/01/2016
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.11.12.016.110
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 17
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1636.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "Sky Holdings" (404421666)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **აბრებისა და რეკლამების განთავსება**
  ახალი მშენებლობა

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ანა ასათიანი პ/ნ 01015011317
- მისამართი: თბილისი ბაგინეთის ქ. N 8

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა #17, შ.პ.ს. "Sky Holdings"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.11.12.016.110), არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016006742 14/01/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.11.12.016.110; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა #17, შ.პ.ს. "Sky Holdings"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.11.12.016.110), არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

LEASE AGREEMENT NO.57

The present Lease Agreement (the "**Agreement**") is entered into in Tbilisi, on January 8, 2016 by and between the following parties:

"Sky Holdings" LLC (Identification Code: 404421666, Legal Address: Besiki str. #4 nearby land plot #46/10, Tbilisi, Georgia) Represented by Salome Karchava (personal number: 01010014799) (the "**Lessor**")

and

JSC MFO Swiss Capital (Identification Code: 205274273, Legal Address: Georgia, City Tbilisi, pekini 34/ 2 alkazbegi ave) represented by its director **Paata Daiauri** (P/N: 01017001879) (the "**Lessee**").

The Lessor and the Lessee shall hereinafter be collectively referred to as the "Parties" and separately as the "Party".

იჯარის ხელშეკრულება №57

წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება ("**ხელშეკრულება**") დადებულია ქალაქ თბილისში, 2016 წლის 8 იანვარს შემდეგ მხარეებს შორის:

შპს "Sky Holdings" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404421666, იურიდიული მისამართი: ბესიკის ქ. № 4 მიწის ნაკვეთის № 46/10 მიმდებარედ, თბილისი, საქართველო), წარმოდგენილი სალომე ქარჩავას სახით (პ/ნ: 01010014799) ("**მეიჯარე**")

და

სს მისო სვის კაპიტალი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205274273, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, პეკინის 34/ალ ყაზბეგის 2) წარმოდგენილი დირექტორის **პაატა დაიაურის** მიერ (პ/ნ: 01017001879) ("**მოიჯარე**").

მეიჯარე და მოიჯარე შემდგომში მოხსენიებულნი იქნებიან ერთად როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც "მხარე".

RECITALS

პრეამბულა

Whereas The Lessor owns the land plot located on the following adress: Omar Khizanishvili Street No. 17, with the cadastral code: 01.11.12.016.110, and the Shopping Center, with the commercial name "Sky Plaza", has been constructed and is operating on this land plot (the "**Shopping Center**");

ვინაიდან მეიჯარე ფლობს მიწის ნაკვეთს მდებარე მისამართზე: ომარ ხიზანიშვილის ქ. №17, საკადასტრო კოდით: 01.11.12.016.110 და მოცემულ მიწის ნაკვეთზე აშენებულია და ფუნქციონირებს სავაჭრო ცენტრი, რომელიც ცნობილია სავაჭრო სახელით "სკაი პლაზა" ("**სავაჭრო ცენტრი**");

Whereas The Lessor is lawfull owner of a Shopping Center and possesses all corporate and statutory approvals, needed for signing and execution of the present Agreement;

ვინაიდან მეიჯარე წარმოადგენს სავაჭრო ცენტრის კანონიერ მესაკუთრეს და აქვს ყველა საკორპორაციო და კანონით დადგენილი ნებართვა რომელიც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისა და აღსრულებისათვის;

Therefore, in consideration of the terms of the

შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულები

Agreement, the Parties hereby agree on the following:

პირობების გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. DEFINITIONS

1.1. Wherever used in this Agreement, unless the context otherwise requires, the following terms shall have the following meanings:

1. ტერმინთა განმარტება

1.1. თუ შინაარსიდან სხვაგვარად არ გამომდინარეობს, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

Delivery Date shall mean the date when the Lessor and Lessee sign the Delivery-Acceptance Act as defined by Article 8.1 of this Agreement.

ჩაბარების თარიღი ნიშნავს თარიღს, როდესაც მეიჯარე და მოიჯარე ხელს მოაწერენ მიღება-ჩაბარების აქტს, წინამდებარე ხელშეკრულების 8.1 მუხლით განსაზღვრული წესით.

Internal Regulations shall mean the regulations of the Shopping Center and are mandatory to be fulfilled by the Lessee.

შიდა რეგულაციები ნიშნავს სავაჭრო ცენტრის რეგულაციებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად მოიჯარისათვის.

Lessor's Account shall mean the bank account of the Lessor with following requisites:

მეიჯარის ანგარიში ნიშნავს მეიჯარის საბანკო ანგარიშს შემდეგი რეკვიზიტებით:

Bank: JSC VTB Bank (Georgia)

ბანკი: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"

Swift Code: UGEBGE22

სვიფტი: UGEBGE22

Beneficiary: Sky Holdings Ltd

ბენეფიციარი: შპს Sky Holdings

IBAN: GE36VT6600000252823608

ანგარიშის ნომერი: GE36VT6600000252823608

Management Company shall mean the management body or company, which shall be appointed from time to time by Lessor upon its absolute discretion, for the purpose of management, operation and maintenance of the Public Areas of the Shopping Centre all as described in the Management Agreement. In case the Lessor does not appoint any company to act as Management Company, and/or as long as such appointment has not been executed, the Lessor will be regarded as the Management Company.

მმართველი კომპანია ნიშნავს მმართველ ერთეულს ან კომპანიას, რომელიც პერიოდულად უნდა დაინიშნოს მეიჯარის მიერ, საკუთარი შეხედულებისამებრ, სავაჭრო ცენტრის საჯარო სივრცეების მართვის, ექსპლუატაციის და შენახვის მიზნით, როგორც ეს განმარტებულია მენეჯმენტის ხელშეკრულებაში. თუ მეიჯარე არ დანიშნავს მმართველ კომპანიას, ან/და იმ დროის განმავლობაში, როდესაც ასეთი დანიშვნა არ განხორციელდება, მმართველ კომპანიად ჩაითვლება მეიჯარე.

Material Breach:

არსებითი დარღვევა ნიშნავს:

In case the Lessee breaches the present Agreement – The Material Breach shall mean the breach of the obligation to timely pay the Rent and/or the Utility Fees as prescribed under the present Agreement

თუ დამრღვევი მოიჯარეა – საიჯარო ქირის, ან/და კომუნალური გადასახადების აგრეთვე მათი გადაუხდელობისთვის/გადახდის დაგვიანებისთვის დაკისრებული ჯარიმის/პირგასამტეხლოს

and/or any of the penalties accrued due to non-payment/delay of payment thereof. The breach by the Lessee of any other obligation under the present Agreement and/or Internal Regulations and/or any other annexes of the present Agreement shall be deemed as Material Breach if the Lessee fails to rectify such breach within two (2) weeks period after the Lessor gives the notice of breach in writing form and/or fails to pay the penalty claimed by the Lessor.

დროულად გადახდის ვალდებულების დარღვევას. მოიჯარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და შიდა რეგულაციებით, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დანართებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა ჩაითვლება არსებით დარღვევად, თუ მეიჯარის მხრიდან დარღვევის შესახებ წერილობითი ფორმით შეტყობინების თარიღიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირისა მოიჯარე არ/ვერ გამოასწორებს დარღვევას ან/და არ გადაიხდის დაკისრებულ პირგასამტეხლოს.

In case the Lessor breaches the present Agreement – The Material Breach shall mean the breach of obligation under the present Agreement by the Lessor in the manner that deprives the Lessee and/or its employees from the right to physically utilize the Unit for the declared Purpose of the Lease and the Lessor fails to rectify such breach within one (1) month period after the Lessee gives the notice of breach.

თუ დამრღვევი მეიჯარეა – არსებითად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ისეთი დარღვევა, რომლის გამოც მოიჯარეს ან/და მის დაქირავებულ პერსონალს საშუალება ერთმევა ფიზიკურად ისარგებლოს ფართით გაცხადებული იჯარის მიზნის განსახორციელებლად და მეიჯარე არ/ვერ აღმოფხვრის ამგვარ დარღვევას მოიჯარის მხრიდან დარღვევის წერილობითი შეტყობინების თარიღიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა.

Public Areas shall mean all areas within the built up under-construction area of the Shopping Center including any structures, additions, amendments, and modifications thereto, which may be added or executed from time to time, including but not limited to: roofs, entrances, internal and external passageways, underground passageways, covered or non-covered corridors, aisles, exits, service rooms and/or areas, internal roads, and/or service corridors, technical areas (such as transformator rooms, electricity rooms, air conditioning and system rooms), off-loading and on-loading areas, elevators, escalators, stairwells, sitting areas, gardens and plazas (whether covered or uncovered), and any other area within the built-up area of the Land and the Shopping Center which is designated by Lessor and/or the Management Company for use by, or is actually used by public, excluding the Unit itself; and all areas of the Land outside the built-up and under-construction area of the Shopping Center, designated for use of general public and/or the customers of the Shopping Center, including but not limited to roads, access ways, pavements, gardens, squares, signs, parking

საჯარო სივრცე ნიშნავს ადგილებს, რომელიც მდებარებს სავაჭრო ცენტრის აშენებულ ან/და მშენებარე ნაწილებში, და მოიცავს ნებისმიერ სტრუქტურას, დამატებას, შეცვლას, მოდიფიკაციას, რომელიც შეიძლება პერიოდულად იყოს დამატებული ან შესრულებული, რაც შეუზღუდავად მოიცავს: სახურავებს, შიდა და გარე შესასვლელებს, მიწისქვეშა დერეფნებს, დახურულ ან არა დახურულ დერეფნებს, ფრთებს, გასასვლელებს, სამომსახურეო ოთახებს ან/და ადგილებს, შიდა გზებს, ან/და სამომსახურეო დერეფნებს, ტექნიკურ ადგილებს (როგორიცაა, ტრანსფორმატორის, ელექტროენერგიის, ჰაერის კონდიცირების და სისტემის ოთახები), ატვირთვა-ჩამოტვირთვის ადგილები, ლიფტები, ესკალატორები, კიბეები, დასაჯდომი ადგილები, ბაღები და მოედნები (როგორც დახურული, ისე ღია), და ნებისმიერ სხვა ადგილი მიწის ნაკვეთის სამშენებლო ტერიტორიასა და სავაჭრო ცენტრში, რომელიც განსაზღვრულია ან/და რეალურად გამოყენებულია საჯარო მიზნებისათვის მეიჯარისა ან/და მმართველი კომპანიის მიერ, გარდა თვითონ ფართისა; და მიწის ნაკვეთის ყველა სხვა ადგილი სავაჭრო ცენტრის აშენებული და სამშენებლო

areas, sidewalks and etc.

ტერიტორიის გარეთ, რაც შეუზღუდავად მოიცავს, გზებს, მისასვლელ გზებს, ქვაფენილებს, ბაღებს, მოედნებს, ნიშნებს, საპარკინგო ადგილებს, ტროტუარებს და ა.შ.

Unit shall mean the part of the Shopping Center leased by the Lessor to the Lessee subject to the terms of this Agreement, located on first floor, unit number 9, 70.00 sq. m. Detailed location of the Unit shall be provided by Annex No. 1.

ფართი ნიშნავს საგაჭრო ცენტრის ნაწილს, რომელიც მდებარეობს პირველ სართულზე, ფართის ნომერი 9, 70.00 კვ.მ., რომელიც გაცემულია იჯარით მეიჯარის მიერ მოიჯარის სასარგებლოდ, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ფართის დეტალური მდებარეობა მოცემულია დანართ № 1-ში.

2. ANNEXES

2.1. This Agreement contains following annexes:

2.1.1. Annex No. 1: Detailed description of the Unit, including its area and location;

2.1.2. Annex No. 2: Extract from the Registry certifying the ownership title of Lessor over the Unit and the Cadastral Plan of the Unit;

2.1.3. Annex No. 3: Delivery Acceptance Act to be entered into between the Lessor and the Lessee;

2.1.4. Annex No. 4: Photo-material of the Unit; also five (5) places for allocating advertisements of the Lessee.

2.1.5. Annex No. 5: Agreement on determining the additional provisions of the Lease

2. დანართები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ დანართებს:

2.1.1. დანართი № 1: ფართის დეტალური აღწერა, ადგილისა და ადგილმდებარეობის ჩათვლით;

2.1.2. დანართი № 2: რეესტრის ამონაწერი, რომელიც ადასტურებს ფართზე მეიჯარის საკუთრების უფლებას და ფართის საკადასტრო რუკას;

2.1.3. დანართი № 3: მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც უნდა გაფორმდეს მოიჯარესა და მეიჯარეს შორის;

2.1.4. დანართი № 4: ფართის ამსახველი ფოტომასალა; ასევე მოიჯარის მიერ რეკლამის განთავსებისათვის გამოყოფილი 5 (ხუთი ადგილის ფოტო მასალა

2.1.5. დანართი № 5: შეთანხმება იჯარი ხელშეკრულებაში

Agreement;

დამატებითი პირობების განსაზღვრის შესახებ;

2.1.6. Annex No. 6: Internal Regulations.

2.1.6. დანართი № 6: შიდა რეგულაციები.

2.2. Annexes shall form the integral part of this Agreement. Any modification, alteration or amendment of any clause of the annex shall be subject the terms of this Agreement.

2.2. დანართები წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დანართის ნებისმიერი მუხლის ნებისმიერი მოდიფიკაცია, ცვლილება ან დამატება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. LEASE TRANSACTION

3. იჯარის ტრანზაქცია

3.1. Subject to payment by the Lessee of the Rent, the Lessor leases to the Lessee the Unit and hereby undertakes to:

3.1. მოიჯარის მიერ ქირის გადახდის პირობით, მეიჯარე იჯარით გადასცემს მოიჯარეს ფართს და იღებს ვალდებულებას:

3.1.1. Permit the Lessee to carry out its business within the Unit pursuant to the terms of this Agreement after the Delivery Date and for the Term of the Lease, and to hand over the possession over the Unit to the Lessee upon the Delivery Date;

3.1.1. ნება დართოს მოიჯარეს, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განახორციელოს თავისი საქმიანობა ფართის ფარგლებში, ჩაბარების თარიღის შემდეგ და საიჯარო პერიოდის განმავლობაში, და გადასცეს მოიჯარეს მფლობელობაში ფართი ჩაბარების თარიღისათვის;

3.1.2. Provide the Lessee with the Management Services as determined in article 11 of this Agreement.

3.1.2. უზრუნველყოს მოიჯარე წინამდებარე ხელშეკრულების 11-ე მუხლით გათვალისწინებული მენეჯმენტის მომსახურებით.

3.2. Without prejudice to any and all obligations of the Lessee under this Agreement, the Lessee undertakes before and in favor of Lessor to:

3.2. მოიჯარის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა და ყველა ვალდებულების გათვალისწინებით, მოიჯარე მეიჯარის წინაშე იღებს ვალდებულებას:

3.2.1. Accept the delivery of the Unit upon the Delivery Date and look duly after the Unit and keep it in good conditions;

3.2.1. მიიღოს ფართი მიღების თარიღზე და შემდგომში სათანადოდ მოუაროს და შეინახოს ფართი კარგ მდგომარეობაში;

3.2.2. Pay the Rent in accordance with the terms of this Agreement;

3.2.2. გადაიხადოს ქირა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.2.3. Pay the Utility Fees on monthly basis according to the record of specific counters provided by the Lessor;

3.2.3. გადაიხადოს კომუნალური მომსახურების გადასახადები მეიჯარის მიერ წამორდგენილი და კონკრეტული მრიცხველების ამონაწერების

შესაბამისად;

3.2.4. Return the Unit to the Lessor in the conditions as delivered to the Lesse, taking account normal wear and tear and transfer to the Lessor such improvement made to the Unit, which cannot be separated/detached from the Unit. The conditions shall be determined according to the photo material attached to this Agreement as Annex No. 4;

3.2.4. დაუბრუნოს ფართი მეიჯარეს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც გადაეცა მას, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით და მეიჯარეს გადასცეს ფართის იმგვარი გაუმჯობესებები, რომლებიც შეადგენენ ფართის ნაწილს და ვერ მოხდება განცალკევება. ფართის მდგომარეობა უნდა დადასტურდეს ფოტო მასალით, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას როგორც დანართი №4;

3.2.5. Operate the business as defined by the Purpose of the Lease pursuant to the terms of this Agreement;

3.2.5. განახორციელოს საქმიანობა, იჯარის მიზანთან შესაბამისობაში, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად;

3.2.6. Indemnify the Lessor and/or other lessees and/or the third persons from any damage, which is caused by the Lessee due to its intentional and/or negligent actions.

3.2.6. გაათავისუფლოს მეიჯარე ან/და სხვა მოიჯარეები ან/და მესამე პირები ნებისმიერი ზიანისგან, რომელიც გამოწვეული იქნება მოიჯარის მიერ განზრახი ქმედებით ან/და გაუფრთხილებლობით.

4. REPRESENTATIONS AND WARRANTIES OF THE PARTIES

3. მხარეების განცხადებები და გარანტიები

4.1. The Lessor hereby warrants and declares unto and in favor of the Lessee as follows:

4.1. მეიჯარე აძლევს გარანტიას და მოიჯარის სასარგებლოდ აცხადებს, რომ:

4.1.1. that the Lessor is fully empowered entitled and authorized in terms of its corporate statutory instruments and by operation of law to enter into this agreement on the terms, conditions and provisions herein specified;

4.1.1. მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მეიჯარეს გააჩნია სრული უფლებამოსილება დადოს წინამდებარე ხელშეკრულება მოცემული პირობებით და დებულებებით;

4.1.2. that there are no legal or other impediments to its entering into and concluding this agreement with the Lessee.

4.1.2. არ არსებობს კანონიერი ან სხვა დაბრკოლებები მოიჯარესთან წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად.

4.2. The Lessee hereby declares, warrants and undertakes unto and in favor of the Lessor as

4.2. მოიჯარე აცხადებს, აძლევს გარანტიას და იღებს ვალდებულებას მეიჯარის

follows:

4.2.1. It has inspected and examined the Shopping Center and its surroundings, including the approaches to the Shopping Center and Lessor's legal right thereto and this Agreement including its annexed, that it has found all the above suitable to its purposes and satisfactory in all respects;

4.2.2. It has been given full opportunity to examine the Plans of the Shopping Center in general and of the Unit in particular, as provided in Annex No. 1, and it is aware of the location of the Unit within the Shopping Center, and confirms that same are acceptable and satisfactory to it in all respects;

4.2.3. Lessee is aware that the Shopping Centre shall include business of various types, in Lessor's absolute discretion, with the intention of creating a suitable mix of businesses for the benefit of all the business owners that will operate in the Shopping Center. Lessee acknowledges that the Lessor shall take decision upon its discretion regarding the types of businesses that will be carried out in the different Units, and regarding their nature and level, as well as the scope of their activity, their opening days and hours, the entry and exit arrangements to them and to the Shopping Center, etc.;

4.2.4. Likewise and in addition to any other

სასარგებლოდ, რომ:

4.2.1. ინსპექტირებული და შემოწმებულია სავაჭრო ცენტრი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, სავაჭრო ცენტრამდე მისასვლელი გზების ჩათვლით, მეიჯარის საკუთრების უფლება და წინამდებარე ხელშეკრულება, მისი დანართების ჩათვლით; ზემოთ ხსენებული შეესაბამება მის მიზნებს და ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია;

4.2.2. მას ჰქონდა სრული შესაძლებლობა, შეემოწმებინა დანართ № 1-ში მოცემული სავაჭრო ცენტრის გეგმა-ნახაზები და კონკრეტულად ფართის გეგმა-ნახაზები, და მან იცის ფართის ადგილმდებარეობა სავაჭრო ცენტრის შიგნით, და ადასტურებს, რომ აღნიშნული ყოველმხრივ მისაღები და დამაკმაყოფილებელია;

4.2.3. მოიჯარე აცნობიერებს, რომ მეიჯარის შეხედულებისამებრ, მომსახურებათა ერთობლიობის შექმნის მიზნით, სავაჭრო ცენტრში განხორციელდება სხვადასხვა ტიპის საქმიანობა, რაც სარგებელს მოუტანს სავაჭრო ცენტრში მოქმედი ყველა ბიზნესის მესაკუთრეს. მოიჯარე აცნობიერებს, რომ მეიჯარე საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს სავაჭრო ცენტრის სხვადასხვა ნაწილში განსახორციელებელი ნებისმიერი მომსახურების სახეს, ხარისხსა და ხასიათს, ასევე მათი მოქმედების არეალს, სავაჭრო ცენტრში მოქმედი სხვადასხვა დაწესებულებების გახსნის დღეებსა და დროს, სავაჭრო ცენტრიდან მათში შესასვლელებსა და გასასვლელებს, და ა.შ.;

4.2.4. წინამდებარე ხელშეკრულების

provision in the Agreement, Lessee declares that it is aware that Lessor shall be entitled to limit and/or absolutely prevent the operation of a business or businesses for certain purposes in the Shopping Center, and/or to confer exclusivity on a certain business or certain businesses from time to time, and it is aware that Lessor is entitled to operate or give licenses to operate in the Shopping Center several businesses of the same type and for the same purpose, all in accordance with the Lessor's exclusive discretion and without any limitation. In addition to any other provision in this Agreement, Lessee declares that it is aware that the rent paid by him can differ from those paid by other lessees;

პირობების შესაბამისად, მოიჯარე აცხადებს, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ მეიჯარე უფლებამოსილია, შეზღუდოს ან/და მთლიანად აკრძალოს ნებისმიერი ბიზნესის მოქმედება სავაჭრო ცენტრში, ან/და მიანიჭოს ექსკლუზიური უფლება რომელიმე ბიზნესს. მოიჯარისთვის ასევე ცნობილია, რომ მეიჯარე სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებით, მისცეს უფლება ერთი და იმავე ტიპის და ერთნაირი მიზნისათვის შექმნილ საწარმოებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აწარმოონ ერთი და იგივე საქმიანობა სავაჭრო ცენტრში. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა დებულების გათვალისწინებით, მოიჯარისთვის ასევე ცნობილია, რომ მის მიერ გადახდილი ქირა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა მოიჯარეების მიერ გადახდილი საფასურებისგან;

4.2.5. Lessor shall be fully empowered entitled and authorized in terms of its corporate statutory instruments and by operation of law to enter into this agreement on the terms, conditions and provisions herein specified;

4.2.5. მოიჯარე უფლებამოსილია, მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, დადოს წინამდებარე ხელშეკრულება მოცემული პირობებით და დებულებებით;

4.2.6. Lessee is fully aware that Lessor has relied upon the above warranties in reaching its decision to enter into this Agreement with Lessee.

4.2.6. მოიჯარემ იცის, რომ მეიჯარე ეყრდნობოდა წინამდებარე გარანტიებს მოიჯარესთან წინამდებარე ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

5. PURPOSE OF THE LEASE AND ACTIVITIES

5. საქმიანობის და იჯარის მიზანი

5.1. The Lessee hereby declares, warrants and undertakes to use the Unit exclusively for the purposes of operation of Microfinance Organization (the "**Purpose**" or the "**Activities**").

5.1. მოიჯარე აცხადებს, იძლევა გარანტიას და იღებს ვალდებულებას, გამოიყენოს ფართი მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზნით. (**"მიზანი"** ან **"საქმიანობა"**).

5.2. Any modification, alteration or expansion of

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით

the Purpose of Lease as specified above shall require the advance written approval of the Lessor, which Lessor shall be entitled to withhold in its sole discretion and for any reason.

განსაზღვრული იჯარის მიზნის ნებისმიერი ცვლილება, დამატება ან გაფართოება მოითხოვს მეიჯარის წინასწარ წერილობით თანხმობას, რომლის გაცემაზეც მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას საკუთარი შეხედულებისამებრ.

5.3. Lessee hereby declares that it is cognisant of the fact that any deviation from, modification to, alteration of or expansion of its declared Purpose of Lease shall constitute a material breach of this Agreement which is liable to cause Lessor to be held in breach of its contractual undertakings and commitments vis-à-vis other Lessees in the Shopping Center and Lessor shall accordingly be entitled to request and obtain an injunction against Lessee prohibiting any such delinquent operation within the Unit, and same without prejudice to any other rights and remedies to which it shall be entitled by operation of law or customary practice arising out of and/or in connection with any such deviations, modifications, alterations and expansion od the Purpose of the Lease.

5.3. მოიჯარის განცხადებით ის სრულად აცნობიერებს, რომ ნებისმიერი დარღვევა, შეცვლა, დამატება ან გადახვევა მის მიერ გაცხადებული იჯარის მიზნიდან წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების არსებით დარღვევას. თუ ამგვარი დარღვევა გამოიწვევს მეიჯარის მიერ მესამე პირების, მათ შორის სავაჭრო ცენტრის სხვა მოიჯარეების წინაშე აღებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას, მეიჯარე სარგებლობს უფლებით დაუყოვნებლივ მოსთხოვოს მეიჯარეს ფართში მსგავსი საქმიანობის შეწყვეტა და აგრეთვე ზიანის სრული ანაზღაურება, რომელიც იჯარის მიზნიდან მსგავსი გადახვევის, დარღვევის, შეცვლის, ან დამატებისთვის არის დადგენილი კანონის, ჩვეულების და მოქმედი სამართლის სხვა ნორმების მიხედვით.

5.4. The Lessee accepts the prohibition of storing or handling in the Unit of flammable, explosive, toxic, heavy or any other type of materials or products that represent danger to persons, objects or property, and of carrying out activities that may in any way be dangerous or cause deterioration or damage to the Unit.

5.4. მოიჯარე იღებს ვალდებულებას ფართის ტერიტორიაზე არ შეინახოს აალებადი, ასაფეთქებელი, ტოქსიკური, მძიმე ან სხვა სახის მასალები ან საქონელი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს პიროვნებებისათვის, საგნებისა ან ქონებისათვის. მოიჯარე აგრეთვე იღებს ვალდებულებას არ განახორციელოს ქმედებები, რომლებიც შეიძლება იყოს სახიფათო ან გამოიწვიოს ფართის დაზიანება.

5.5. The Lessee accepts the prohibition of carrying out in the Unit any type of activity that may be inconveniencing, insalubrious, discomforting or cause unnecessary noise. Movement of heavy or voluminous elements, which may cause inconvenience, shall be carried out under the indications of the Lessor.

5.5. მოიჯარე იღებს ვალდებულებას არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისკომფორტი ან ზედმეტი ხმაური. მძიმე ან მოცულობითი საგნების გადაადგილება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს უხერხულობა, უნდა მოხდეს მეიჯარის მითითებების მიხედვით.

5.6. In addition to prohibition stated in Articles 5.4 through 5.5 of this Agreement, at any time during the Term of the Agreement, the Lessee may not conduct any such activity, which are prohibited under Georgian laws.

5.6. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4. და 5.5. მუხლებში განსაზღვრულ აკრძალვებთან ერთად, ხელშეკრულების ვადის განმავლობაში აგრეთვე დაუშვებელია მოიჯარის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობის განხორციელება.

5.7. While carrying out its activities and fullfilment of the obligations under this Agreement the Lessee rellies on its significant expertise and judgement in operation of financial organization.

5.7. საქმიანობის განხორციელებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისას, მოიჯარე ეყრდნობა თავის გამოცდილებას და ცოდნას საფინანსო ორგანიზაციების ოპერირების სფეროში.

6. TERM OF THE AGREEMENT

6. ხელშეკრულების ვადა

6.1. The Agreement shall enter into force starting upon the date of its Signature (the "**Date of the Agreement**").

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღზე (**"ხელშეკრულების თარიღი"**).

6.2. The term of the Lease shall be initial sixty (60) months from February 1, 2016 (the "**Term of the Agreement**") and shall expire on February 1, 2021 (the "**Expiry Date**") ("**First Lease Period**").

6.2. იჯარის ვადა განისაზღვრება 60 (სამოცი) თვით 2016 წლის 1 თებერვლიდან (**"ხელშეკრულების ვადა"**) და ამოიწურება 2021 წლის 1 თებერვალს (**"ამოწურვის თარიღი"**) (**"იჯარის პირველი პერიოდი"**).

Second Lease Period

იჯარის მეორე პერიოდი

6.3. If not otherwise provided under the terms of this Agreement the First Lease Period shall be automatically extended for the same term **("Second Lease period"),** unless any of the parties sends the the other party the written notification, three (3) months prior to the Expiry Date, expressly informing of its will to terminate this Agreement on the Expiry Date; or unless the Lessor, during the entire termf of the agreement, sends the written notification to the Lessee informing that the Lessee failed to fulfill any of its obligation(s) and/or undertaking(s) under this Agreement.

6.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, იჯარის პირველი პერიოდი ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით (**"იჯარის მეორე პერიოდი"**), გარდა იმ შემთხვევისა, თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 3 (სამი) თვით ადრე გაუგზავნის მეორე მხარეს წერილობით შეტყობინებას, რომლითაც იგი შეატყობინებს თავის სურვილს, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ამოწურვის თარიღზე; ან თუ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მეიჯარე გაუგზავნის მოიჯარეს წერილობით შეტყობინებას, რომლითაც შეატყობინებს, რომ მოიჯარემ დაარღვია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ნებისმიერი ვალდებულება/ები.

6.4. In case of extension/renewal of the Agreement for the same Term as stipulated in Article 6.2 above, the Lessor is authorized to review the terms of the Agreement.

6.4. 6.2 მუხლში განსაზღვრული ვადით ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია, გადახედოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

7. RENT AND PAYMENT TERMS

7. ქირა და გადახდის წესები

7.1. Monthly Rent shall be determined in following manner:

7.1. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრება შემდეგი წესით:

USD two thousand (2000) equivalent in GEL.

2000 (ორიათასი) აშშ დოლარის ოდენობით ლარში.

Rent shall be calculated in accordance with the currency exchange rate set by National Bank of Georgia at the date of issuing the written payment request by the Lessor. After thirty-six (36) months from signing the presnet Ageement, Monthly Rent will be increase by two (2) percent annually.

თანხის დაანგარიშება მოხდება მეიჯარის მიერ წერილობითი გადახდის მოთხოვნის გამოწერის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 36 (ოცდაათიექვსმეტი) თვის შემდეგ ყოველთვიური ქირის გაზრდა მოხდება 2 (ორი) პროცენტით ყოველწლიურად.

7.2. The Parties shall undertake administration of all respecive taxes and duties payable by them. Amount of monthly Rent, stipulated in the preceding paragraphs includes the Management Fee and VAT.

7.2. მხარეები უზრუნველყოფენ მათ მიერ გადასახდელი გადასახადების გადახდის ადმინისტრირებას. წინა პუნქტებით გათვალისწინებული ყოველთვიური ქირის ოდენობა მოიცავს მენეჯმენტის და დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ-ს).

7.3. Payment shall be made through the bank transfer to the Lessor's Account. The payment shall be deemed completed only upon timely receipt of full amount of the Rent on the Lessor's Account without any deductions of banking commissions or other expenses.

7.3. გადახდები უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის მეშვეობით მეიჯარის საბანკო ანგარიშზე. გადახდა ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ ქირის მთლიანი ოდენობის მეიჯარის ანგარიშზე დროული მიღებისას, ყოველგვარი ბანკის საკომისიო ან სხვა გადასახადების გამოკლების გარეშე.

7.4. Payment starts on February 1st 2016.

7.4. გადახდა იწყება 2016 წლის პირველი თებერვლიდან.

7.5. Payment of the Rent shall take place on advance monthly basis, no later than the 5th day of each month.

7.5. ქირის გადახდა უნდა მოხდეს წინასწარ ყოველთვიურად არა უგვიანეს ყოველი თვის 5 რიცხვისა.

8. DELIVERY OF THE UNIT AND CONDITION

8.1. Delivery of the Unit from the Lessor to the Lessee shall take place on January 8, 2016, which shall be certified with the Delivery-Acceptance Act to be signed by both Parties at the time of delivery of the Unit. The Delivery-Acceptance Act shall be annexed to this Agreement as the Annex No. 3, which becomes integral and inseparable part hereto.

8.2. The Delivery-Acceptance Act shall stipulate the conditions of the Unit as well as statement of the Lessee that it accepts such conditions and has no claims towards the Lessor.

8.3. The conditions of the Unit at the time of delivery is confirmed by the photo material of the Unit attached to this Agreement as the Annex No. 4, which becomes integral and inseparable part hereto.

9. RENOVATION WORKS

9.1. The Lessee has the right to conduct relevant renovation works in the Unit at its own expense, which shall in no case be refunded by the lessor (the "**Renovation Works**"). The description of the external renovation works shall be pre-agreed with the Lessor and the latter shall issue written approval to conduct relevant works. The renovation works shall be finalized no later than January 31, 2016.

9.2. All Renovation Works and non-detachable improvements of the Unit shall become inseparable part of the Unit and stay in the ownership of the Lessor without any additional compensation.

9.3. The Renovation Works of the Unit shall be carried out and finalized within the terms

8. ფართის გადაცემა და მისი მდგომარეობა

8.1. ფართის გადაცემა მეიჯარისგან მოიჯარესთვის უნდა მოხდეს 2016 წლის 8 იანვარს, რაც დადასტურდება ფართის გადაცემის მომენტში ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი დანართი №3-ის სახით დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნული იქნება როგორც ფართის მდგომარეობა, ისე მოიჯარის განცხადება, რომ მოჯარე იღებს მოცემულ პირობებს და არ გააჩნია არანაირი პრეტენზია მეიჯარის მიმართ.

8.3. ფართის მდგომარეობა დადასტურებულია ფოტომასალით, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი №4-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9. სარემონტო სამუშაოები

9.1. მოიჯარეს უფლება აქვს ჩაატაროს ფართზე სარემონტო სამუშაოები თავისი ხარჯით რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება მეიჯარის მიერ (**"სარემონტო სამუშაოები"**). სარემონტო სამუშაოების აღწერილობა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული მეიჯარესთან, რომელიც ხელს მოაწერს წერილობით თანხმობას შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად. სარემონტო სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 31 იანვრისა.

9.2 ფართზე ჩატარებული ყველა სარემონტო სამუშაო და მოუშორებადი გაუმჯობესება გახდება ფართის განუყოფელი ნაწილი და დარჩება მეიჯარის საკუთრებაში რაიმე სახის დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

9.3. ფართის სარემონტო სამუშაოები ჩატარდება და დასრულდება სამუშაო გრაფიკით

defined by the Works' Schedule. However, the Lessor may, upon its discretion grant written approval for extension of the term of the execution of the Renovation Works, if the Lessee proves that such extension is necessary and was beyond control of the Lessee.

განსაზღვრული პირობების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მეიჯარე უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, გასცეს წერილობითი თანხმობა სარემონტო სამუშაოების ჩატარების ვადის გაგრძელებაზე, თუ მოიჯარე დაამტკიცებს, რომ ასეთი გაგრძელება აუცილებელი გახდა მოიჯარის კონტროლს მიღმა არსებული მიზეზ(ებ)ით.

9.4. Within one (1) week after the Date of the Agreement and before commencement of the Renovation Works, the Lessee shall present to the Lessor the written description of the schedule of the works, works itself, schedule of completion of works and schedule of working hours.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი (1) კვირის განმავლობაში და სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე, მოიჯარემ უნდა წარუდგინოს მეიჯარეს წერილობითი ინფორმაცია (აღწერილობა) სამუშაოების განრიგის, სამუშაოების ხასიათსი და დასრულების განრიგისა და სამუშაო განრიგის მითითებით.

9.5. The Lessee shall present to the Lessor and the Lessor shall approve, upon its sole discretion, the location and size of façade in writing.

9.5. მოიჯარემ წერილობით უნდა წარმოუდგინოს მეიჯარეს და მეიჯარემ, საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა დაადასტუროს, ფასადის მდებარეობა და ზომები.

9.6. The exact time-line of the works shall be within the term stipulated in Article 9.3 of the Agreement. The Lessor shall also approve the working time schedule of the works. The Lessor may request the Lessee to conduct all Renovation Works in the special hours determined by the Lessor in order to avoid noise for other lessees and the customers.

9.6. სამუშაოები უნდა ჩატარდეს წინამდებარე ხელშეკრულების 9.3 მუხლის თანახმად გათვალისწინებული განრიგით განსაზღვრული პერიოდის ფარგლებში. მეიჯარემ უნდა დაადასტუროს სამუშაოების განრიგი. მეიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოიჯარეს სარემონტო სამუშაოების ჩატარება განსაზღვრულ საათებში, რათა თავიდან იქნეს არიდებული სხვა მოიჯარეების და კლიენტების ხმაურით შეწუხება.

9.7. The Lessee shall comply with sanitary requirements and shall ensure that the Public Areas of the Shopping Center or other areas in the Shopping Center will not be damaged contaminated, polluted or otherwise damaged.

9.7. მოიჯარემ უნდა დაიცვას სანიტარული მოთხოვნები და უზრუნველყოს, რომ სავაჭრო ცენტრის საჯარო სივრცეები და სხვა ადგილები არ იქნება დანაგვიანებული ან სხვაგვარად დაზიანებული.

9.8. The Lessee shall use its best endeavors for

9.8. მოიჯარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს

limiting the noise of the Renovation Works, in order to ensure comfortable working environment for other lessees as well as good environment for customers.

სარემონტო სამუშაოების შედეგად წარმოშობილი ხმაურის შემცირებისათვის რათა უზრუნველყოს კომფორტული გარემო სხვა მოიჯარეებისა და კლიენტებისათვის.

9.9. In case of breach of any of the obligations stipulated in this Article 9, the Lessor may send written notification and grant the Lessee one (1) week for rectification of the breach. In case of non-rectification within the stated time, the Lessor may request the Lessee the following penalty:

9.9. მე-9 მუხლში განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია გაუგზავნოს მოიჯარეს წერილობითი გაფრთხილება და მისცეს 1 (ერთი) კვირა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამგვარი შეტყობინების შედეგად დარღვევის მითითებულ ვადაში აღმოუფხვრებლობის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი ჯარიმის გადახდა:

9.9.1. USD twenty (20) equivalent in GEL per day for contamination and/or pollution of the Public Areas of the Shopping Center.

9.9.1. ყოველდღიურად 20 (ოცი) დოლარის ექვივალენტი ლარში სავაჭრო ცენტრის საჯარო სივრცეების დანაგვიანებისათვის.

9.10. In case of the notification sent in accordance with Article 9.9 above, the Lessor is authorized to request compensation of damages suffered by the Shopping Center or other lessees. For the purposes of this Agreement, the damage incurred by workers, assistants or any persons working for the Lessee constitute the damages caused by Lessee itself and the Lessee is liable to compensate such damages to the Lessor.

